საკონტაქტო პირი

მისამართი:
Justizvollzugsanstalt Essen (ესენის სასჯელაღსრულების დაწესებულება)
c/o: მიუთითეთ სახელი, გვარი, მამის სახელი იმ პირის, რომელიც იხდის სასჯელს
Krawehlstraße 59
45130 Essen

ტელეფონი 0201 7246-0
ფაქსი: 0201 7246-415
ელფოსტის მისამართი: ელფოსტა

მიმოწერა

მიმოწერა (იმ პირების, რომლებიც იხდიან სასჯელს)

იმ პირების მიმოწერა, რომლებიც იხდიან სასჯელს, რეგულირდება „სასჯელაღსრულების შესახებ“ (StVollzG NRW) კანონის §§ 21–23, §§ 25, 26 მუხლებით. ამ კანონის საფუძველზე პირს, რომელიც იხდის სასჯელს, აქვს ფუნდამენტალური უფლება გაგზავნოს და მიიღოს წერილები შეზღუდვის გარეშე. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას აქვს უფლება აკრძალოს მიმოწერა შემდეგ შემთხვევებში:

- როცა ასეთი მიმოწერა ემუქრება დაწესებულების წესრიგსა და უსაფრთხოებას;
- როცა არსებობს საშიშროება, რომ იმ პირებთან კონტაქტი, რომლებიც არარიან პატიმრის ნათესავები სისხლის სამართლის კოდექსის 11(1)პ 1 თანახმად, მოახდენს უარყოფითზეგავლენას პირებზე, რომლებიც იხდიან სასჯელს, ან ხელს შეუშლის სისტემაში მათინტეგრაციას;
- როდესაც პირებს, რომლებიც იხდიან სასჯელს, აქვთ სურვილი შევიდნენ კონტაქტში იმ დანაშაულის მსხვერპლებთან, რომლებიც ჰქონდათ ჩადენილი პირებს, რომლებიც იხდიან სასჯელს, თუ არსებობს რისკი, რომ მსგავსი კონტაქტი მოახდენს მავნე გავლენას დანაშაულის მსხვერპლზე ან მესამე პირებზე, რომლებიც ასეთი კონტაქტის წინააღმდეგები არიან.

StVollzG NRW 22 ნაწილის 1პ შესაბამისად, ყველა შემოსული და გასული ფოსტა მოწმდება ვიზუალურად, რათა აღმოჩენილი იქნას არასანქცირებული ნივთები, როგორიცაა ფული, სიმბარათები და ნარკოტიკული საშუალებები. StVollzG NRW 22 ნაწილის 2პ შესაბამისად, კონტროლ მიმოწერაზე შესაძლოა განხორციელდეს მკურნალობის მიზნით, უსაფრთხოების თვალსაზრისითან წესრიგის უზრუნველსაყოფად. თუმცა, StVollzG

NRW 26 ნაწილის დებულებები არ ვრცელდება ზოგიერთ ადრესატებსა და გამგზავნებზე, მაგალითად: ადვოკატებზე, სახალხო დამცველებზე, პეტიციების განხილვის ორგანოების წარმომადგენლებზე, პირადი მონაცემების დაცვის უფლებამოსილპირებსა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებზე. პირებზე, რომლებიც იხდიან სასჯელს, ვრცელდება კონსტიტუციითგარანტირებული მიმოწერის საიდუმლო (ზოგიერთი შეზღუდვებით)

საფოსტო ხარჯებს თავადპატიმარი ფარავს.

მიმოწერა (იმ პირების, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში)

მიმოწერის წესები იმ პირებს შორის, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში, ჩამოთვლილია UVollzG NRW „წინასწარი პატიმრობის შესახებ" კანონის ნაწილში 20. ამ კანონის თანახმად, წინასწარ პატიმრობაში მყოფპირს, ზოგადად, შეუძლია წერილების გაგზავნა და მიღება შეზღუდვების გარეშე.

წერილების შემოწმება ხდება მხოლოდ მოსამართლის პირდაპირი ბრძანების საფუძველზე, რათა თავიდან იქნას აცილებული გაქცევის, დანაშაულის დამალვის ან დანაშაულის ხელახალი ჩადენის რისკი.

საფოსტო ხარჯებს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი ფარავს.

<u>ვიზიტები</u>

კერძოპირებისთვის (შესასვლელთან რეგისტრაციის დრო):

სამუშაოდღეები:	დრო:	ვიზიტის ტიპი:
ორშაბათი	ვიზიტები არ ხორციელდება	მხოლოდ ერთი პირის ვიზიტი (ვიდეო და აუდიო მეთვალყურეობის ქვეშ)
სამშაბათი	08:40–15:10	მხოლოდ ერთი პირის ვიზიტი (ვიდეო და აუდიო მეთვალყურეობის ქვეშ)
ხუთშაბათი	08:40–15:10	მხოლოდ ერთი პირის ვიზიტი (ვიდეო და აუდიო მეთვალყურეობის ქვეშ)

ორშაბათი	08:30–14:30	კოლექტიური ვიზიტი (ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ)
ოთხშაბათი	11:30–17:15	კოლექტიური ვიზიტი (ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ)
ყოველ თვის პირველ შაბათი	08:45	კოლექტიური ვიზიტი (ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ)
ყოველ თვის პირველ შაბათი	10:30 12:45	ბავშვების ვიზიტი (წინასწარი თანხმობის შემდეგ)

ვიზიტის დრო როგორც წესი შეადგენს თვეში 2 საათს (60 წუთიანი 2 ვიზიტი). იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტს ახორციელებენ **პირები, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში**, საჭიროა რის კომპეტენტური სასამართლოს ნებართვა.
ვიზიტის ხანგრძლივობა **პირებთან, რომლებიც იხდიან სასჯელს**, შესაძლებელია იყოს გაზრდილი ზოგიერთ შემთხვევებში. არსაჭიროებს სასამართლოს ნებართვას.

ინდივიდუალური და კოლექტიური ვიზიტების თარიღები უნდა იყოს აღნიშნული ვიზიტების ბარათზე. მათგასაფორმებლ დ უნდა მიმართონ ორშაბათს, 10:30 დან 18:30 მდე; სამშაბათს და ხუთშაბათს: 09:00 დან 15:00 მდე (შესვენება: 12:00 დან 13:00 მდე) და ოთხშაბათს 12:00 დან 19:00 მდე, ტელეფონის ნომერზე 0201 7246-156. ვიზიტზე ჩაწერა შესაძლებელია ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (besuch@jva-essen.nrw.de).

ყველა ვიზიტორი ვალდებულია წარმოადგინოს პირადობის მოქმედი დამადასტურებელი საბუთი ან პასპორტი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტი ხორციელდება იმ პირებთან, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას კომპეტენტური სასამართლოს ნებართვა. ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის ე.წ. "დროებითი მოწმობები" მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული მოწმობა გაფორმებულია სხვა ქვეყნაში მოქმედი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ლეგალური ყოფნის დროებითი მოწმობა გაცემულია მხოლოდ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც წარადგინა მისმა მფლობელმა, მიღებაზე უარი იქნება ნათქვამი. იგივე პირობები შეეხება იმ პასპორტებსა და პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს, რომლებსაც გაუვიდა მოქმედების ვადა.

სასჯელის მოხდის პირთა ნივთების გაცემის ან გადაცემის ნებართვები, მინდობილობის გაცემის ნებართვა და მსგავსი ნებართვები, იმ პირებისთვის ვინც იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, უნდა იყოს გაცემული მოსამართლის მიერ, რაზედაც კეთდება შესაბამისი შენიშვნა ვიზიტის

ნებართვაში. იმ პირებისთვის, ვინც იხდის სასჯელს, ასეთი ნებართვა გაიცემა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. ნებისმიერი გადასაცემი ნივთი, რომელიც განკუთვნილია თავისუფლება აღკვეთილ პირისთვის, უნდა იყოს შეთანხმებული მის გადაცემამდე.
არასანქცირებული ან აკრძალული ნივთის გადაცემის მცდელობა შესაძლებელია შეფასდეს როგორც ადმინისტრაციული გადაცდომა და გამოიწვევს სასჯელს ვიზიტის აკრძალვისა და ჯარიმის სახით.

მოსაცდელ დარბაზის სავაჭრო ავტომატებში სტუმარს შეუძლია იყიდოს ტკბილეული, თამბაქო და სიგარეტი. ამ მიზნით დაშვებულია მოსაცდელ დარბაზში თან იქონიონ **20 ევრო** ნაღდი ფული. ავტომატები იღებს კუპიურებს ნომინალით 5, 10 და 20 ევრო, ასევე მონეტებს. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ დარჩენილი ფულის შეტანა პაემანის ოთახში **აკრძალულია** ვიზიტის დროს დაშვებულია პირადი ტანსაცმლის შეძენა ნათესავებისთვის, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში, შემდეგი რაოდენობით:

8 წყვილი წინდა, 8 ცალი ტრუსი, 5 სპორტული მაისური, 5 მაისური, 2 წყვილი გრძელი შარვალი, 2 წყვილი შორტი, 1 წყვილი სპორტული ფეხსაცმელი, 2 სვიტერი, 1 ქურთუკი, 2 სპორტული კოსტუმი (2 კომპლექტი), 1 წყვილი აბანოს ფეხსაცმელი, 2 ქუდი, 1 შარფი, 1 წყვილი ხელთათმანი (შალის), 1 წყვილი სპორტული ხელთათმანი (არა დათბილული), 1 პერანგი, 1 ჰალსტუხი, 4 პირსახოცი, 1 ქამარი, 1 ხალჩა ლოცვებისთვის (ფოჩის გარეშე), 1 სამეურნეო ჩანთა.

ვიზიტორებისთვის სასტიკად აკრძალულია მოწევა დაწესებულების საერთო და ცალკე ოთახებში.

მნიშვნელოვანია! შაბათობით ვიზიტები შესაძლებელია **მხოლოდ თვის პირველშაბათს.** ორგანიზაციულ მიზეზების გამოშაბათობით ვიზიტი არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს!

მნიშვნელოვანია! გთხოვთ, პირებს, ვისაც აქვს **კარდიოსტიმულატორი,** შეატყობინეთ ამის შესახებ შემოწმების დაწყებამდე!!

<u>ვიზიტი ბავშვებთან ერთად</u>

ერთ-ერთი მშობლის თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვანი შვილისთვის წარმოადგენს მძიმე ტრავმას. პატიმრობაში მყოფი მშობელი ასევე აწყდება რთულა მოცანას, შეინარჩუნოს ან დაამყაროს ბავშვთან სანდო კონტაქტი მთელი პატიმრობის განმავლობაში. ამ მიზნით ჩრდილოეთრაინ-ვესტფალიას მიწაზე მიესალმებიან საოჯახო კონტაქტებს, მითუმეტეს არასრულწლოვან ბავშვებთან. კანონი ადგენს დამატებით

კვოტებს არასრულწლოვანი ბავშვების ვიზიტებისთვის, ამის გარდა, ჩრდილოეთრაინ-ვესტფალიას მიწაზე, ვიზიტის დროს ცდილობენ გაითვალისწინონ არასრულწლოვანი ბავშვების მოთხოვნები.

საინფორმაციო ბიულეტენი

<u>როგორ მივიდეთ</u>

ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტით

- გაყევითმატარებელს U17 ხაზითესენის მთავარი სადგურიდან Gemarkenplatz-ის გაჩერებამდე. შემდეგ ფეხით (დაახლოებით 5 წუთი): გაყევით Brunostraße ქუჩას (Deutschen Bank-ის მარცხნივ), მერე გადუხვიეთმე-2 ქუჩაზე მარჯვნივ – Krawehlstraße.
- ანქალაქის ცენტრში დაჯექითტრამვაიზე (ხაზი 106) გაჩერება Landgericht-მდე.
  შემდეგ ფეხით (დაახლოებით 3 წუთი): მიყევით Virchowstraße (საოლქო სასამართლოს და პროკურატურის ახალი შენობიდან მარცხნივ), შემდეგ გადუხვიეთპირველივე ქუჩაზე მარჯვნივ — Krawehlstraße.

ავტომობილით

- დუსელდორფიდან: A52 გზატკეცილით Essen-Rüttenscheid გადასახვევამდე, შემდეგ B224 გზატკეცილითქალაქის ცენტრამდე. დაახლოებით 1,9 კმ-ში გადუხვიეთმარცხნივ Krawehlstraße-ზე.
- ბოხუმიდან: A40 გზატკეცილითგადუხვიეთ Stadtmitte გადასახვევზე Holsterhausen მიმართულებით, დაახლოებით 1,6 კმ შემდეგ გადუხვიეთმარცხნივ Virchowstraße -ზე, დაახლოებით 200 მეტრში გადუხვიეთმარცხნივ Krawehlstraße -ზე.
- დუისბურგიდან: A40 გზატკეცილითმიყევით Holsterhausen/Altendorf გადასახვევამდე, შემდეგ შეუხვიეთ მარჯვნივ და მე-3 შუქნიშანზე გადუხვიეთმარცხნივ Holsterhauser Straße-ზე; დაახლოებით 500 მეტრში გადუხვიეთ მარჯვნივ Virchowstraße-ზე და 200 მეტრის შემდეგ - მარცხნივ Krawehlstraße-ზე.

<u>საბანკო რეკვიზიტები</u>

ფულადი სახსრების გადარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ პენიტენციური დაწესებულების ანგარიშზე.

მიმღები: ქ. ესენის პენიტენციური დაწესებულება

ბანკი: Postbank Essen

BIC: PBNKDEFF

IBAN: DE83 3601 0043 0003 1094 32

გადახდის დანიშნულება: სახელი, გვარი, დაბადების
თარიღი იმ პირის, რომელიც იხდის სასჯელს

მნიშვნელოვანი შენიშვნა!
საბანკო გადარიცხვის დანიშნულების მითითებისას,
სასჯელის მოხდის პირთათვის ყოველთვის აუცილებელია
მიეთითოს სასჯელის მოხდის პირის სრული სახელი და
დაბადების თარიღი. თუ არის ცნობილი, დამატებითი
ინფორმაციის სახით, შესაძლებელია მიეთითოს პატიმრის
სარეგისტრაციო ნომერი. ნაღდი ფულის შეტანა შესაძლებელია
მხოლოდ ყოველი ვიზიტის წინ სალაროს მეშვეობით. ფულადი
სახსრების გადაცემა წერილებში ან უშუალოდ
პატიმრებისთვის **არ** დაიშვება